ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა.(ა)ი.პ.
„სახელოვნებო სკოლების გაერთიანება"

2700 ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. № 20
ელ.ფოსტა: lag.saxelovnebo.skoola@gmail.com

ტელ: (354) 22 38 71
მობ: 5 (99) 94 64 05

№19

28 დეკემბერი 2021 წელი

. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს
ბ-ნ ჯონდო მდივნიშვილს

ანგარიში 2021 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის იანვრიდან შედგენილ იქნა წლის სამუშაო გეგმა.

18 იანვრიდან მეცადინეობა მიმდინარეობდა დისტანციურად 2021 წლის 15 მარტამდე (კორონავირუსის covid 19 - ის გამო) ასევე 2021 წლის 12 აპრილიდან - 29 აპრილის ჩათვლით, ხოლო 30 აპრილიდან 13 მაისის ჩათვლით საქართველოს მთავრობის დადგენილების 2021 წლის 16 აპრილის ბრძანება №75 უქმე დღეები.

2021 წლის 13 მაისიდან აღდგენილ იქნა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები .

პანდემიის გამო ვერ ჩატარდა ღია აკადემიური კონცერტები და გამოფენები.

ვერ მივიღეთ მონაწილეობა საქართველოს ხელოვანთა კავშირი „ხელოვნები მომავლისათვის" კლასიკური მუსიკის მე – 14 ეროვნულ კონკურსში, „მომავლის ვარსკვლავები" მომზადებული გვყავდა ორი მოსწავლე . წლების განმავლობაში ვიღებდით მონაწილეობას რესპუბლიკურ კონკურს – ფესტივალებში.

2021 წლის 1 ივლისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ზეიმი „მუდამ გვემღერებოდეს" , ღია აკადემიური კონცერტი და სამხატვრო სკოლის მოსწავლეების გამოფენა ჩატარდა პედაგოგთა კლასების მიხედვით, რეგულაციების სრული დაცვით.

2021 წლის 15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე იყო არდადეგები, ხოლო 2021 წლის 15 სექტემბრიდან 4 ოქტომბრანდე მეცადინეობა მიმდინარეობდა დისტანციურად.

4 ოქტომბრიდან მეცადინეობა განახლდა საკლასო ოთახებში რეგულაციების სრული დაცვით.

სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში მივიღეთ მოსწავლეები პირველსა და მაღალ კლასებში 2021-2022 სასწავლო წლისათვის.

2021 წლის 4 ოქტომბრიდან ჩატარდა სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება.

2021 წლის 20 დეკმბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით ყველა სახელოვნებო სკოლაში ჩატარდა საახალწლო ღონისძიება, პედაგოგთა კლასის კონცერტები.

კონცერტებს ესწრებოდნენ მოსწავლეების მშობლები და პედაგოგები სრული რეგულაციების დაცვით. ეს იყო ერთგვარი ანგარიში მშობლების წინაშე. ამ კონცერტებს მონატრებული იყვნენ როგორც მოსწავლეები და მშობლები ასევე პედაგოგები.

სამხატვრო სკოლის პედაგოგების მიერ მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა საკლასო ოთახებში.

ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ დირექტორი: / ნ. კობერიძე/